საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-213/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა

ქ. თბილისი 2020 წლის 28 მაისი

ოქმი №1

სხდომის ჩატარების ადგილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო)

სხდომას უძღვებოდა: თამილა ბარკალაია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გ. კაკაურიძე; ლ. დგებუაძე; ნ. ჩანადირი; თ. კალანდაძე; დ. მეტრეველი; ე. მიქაბაძე; ზ. სანიკიძე; გ. ჭავჭავაძე; გ. ჩიღოშვილი

სამუშაო ჯგუფის სამდივნო: ნ. ველთაური

კომისიის სამდივნო: ლ. კლიმიაშვილი; თ. გვარამაძე

კომისიის შეხვედრის მიზანი - „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში პროგრამა) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

სხდომის თავმჯდომარე თ. ბარკალაია მიესალმა სამუშაო ჯგუფის წევრებს, ისაუბრა „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული

ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ და და გააცნო დღის წესრიგით განსახილველი საკითხები:

განსახილველი საკითხი - პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განაცხადებების განხილვა 01 დან – 13 517 -ს ჩათვლით. სამუშაო ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსების (დადებითი, უარყოფითი და განსახილველი) მიხედვით.

13 517 რეგისტრირებული პირი ჩაიშალა შემდეგი სტატუსებით, ესენია:

1. არაკომისიური - 8 128 (იხ. დანართი 1);
2. **კომისიური - 5 389 (იხ. დანართი 2).**
   - 2.1 აქტიური (არასრული ატვირთვა) – 1971
   - **2.2 დასრულებული არასწორი სტატუსით - 84 (იხ. დანართი 3)**
     - 2.2.1 შეცდომით დასრულებული - 38
     - 2.2.2 დასაქმებული/შეჩერებული - 7 (200 ლარიანი კომპესაციით)
     - 2.2.3 მოქმედი დასაქმებული - 11
     - 2.2.4 არაკომისიური - 28
   - **2.3 დასრულებული - 3 334 (იხ. დანართი 4)**
     - 2.3.1 დადებითი - 1 402
     - 2.3.2 უარყოფითი - 957
     - 2.3.3 განსახილვევლი - 975

მომხსენებელი, ნინო ველთაური - მომხსენებელმა განმარტა რა იგულისხმება კომისიურ (პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, პორტალზე დარეგისტრირებული პირები) და არაკომისიურ რეესტრში (პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები).

რაც შეეხება პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განაცხადებების განხილვას, მომხსენებელმა კომისიას აცნობა, რომ წარმოდგენილი **5 389** განაცხადიდან **1 971** არის არასრული (არ არის მიმაგრებული დოკუმენტი, არ იკითხება და ა.შ.).

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეთილება, რომ განმცხადებლებს მიეცეთ საშუალება განაახლონ დოკუმენტები, რასაც უზრუნველყოფს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

დასრულებულ, არასწორი სტატუსით წარმოდგენილ 84 განაცხადზე მომხსენებელმა განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ ტექნიკური ხარვეზების (ხარვეზები დღეის მდგომარეობით გამოსწორებულია) გამო **38** განაცხადს შეცდომით მიენიჭა სტატუსი,,დასრულებული", აღნიშნული წარმოადგენდა არასრულ განაცხადს.

ასევე აღინიშნა, რომ წარდგენილ რეესტრში მოხვდა 11 მოქმედი დასაქმებული პირი, 28 არაკომისიური (რეგისტრირებული თვითდასაქმებული), 7 დასაქმებული/შეჩერებული პირი (200 ლარიანი კომპესაციით).

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ განმცხადებლებს მიეცეთ საშუალება განაახლონ დოკუმენტები, უმუშევრად დარჩენილ პირებს ეთქვათ უარი (ვინაიდან პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულია მათი დახმარება), მოქმედ დასაქმებულ პირებს ეთქვათ უარი, ვინაიდან მათ არ შეჩერებიათ საქმიანობა, ხოლო არაკომისიური პირები (რეგისტრირებული თვითდასაქმებულები) დაფინანსდებიან პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

დასრულებულ 3 334 განაცხადზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით 1 402 განცხადებას მიენიჭა „დადებითი" სტატუსი, ვინაიდან მაძიებლებს დოკუმენტაცია სწორად ჰქონდათ ატვირთული და ატვირთული დოკუემნტაცია აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას. 957 განმცხადებელს, რომელთაც არ ჰქონდათ იურიდიული პირისგან გაცემული ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი - მიენიჭა „უარყოფითი" სტატუსი.

კომისია ერთხმად დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის მიერ განაცხადებზე მინიჭებულ „დადებით" სტატუსს. დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დაევალა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში „დადებითი" სტატუსის მქონე პირების კომპენსაციის ჩარიცხვის უზრუნველყოფა.

ასევე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, კომისიის სხდომაზე შეთანხმებული კრიტერიუმებით (იხ. დანართი 5), „უარყოფითი" სტატუსის მქონე განაცხადები სამუშაო ჯგუფის მიერ იქნას დროულად განმეორებით განხილული და პროგრამის ფარგლებში რეაგირებული.

მომხსენებელმა ისაუბრა იმ ძირითად მიზეზებზე, რის საფუძველზეც განაცხადებს მიენიჭა „განსახილველი" სტატუსი. კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდება განაცხადების ხელახალი განხილვა და შესაბამისი სტატუსის მინიჭება.

კომისიის გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფს დაევალა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განაცხადების იდენტიფიცირება და „დადებითი" სტატუსის მქონე პირებზე, პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში კომპესაციების გაცემა, ხოლოშემდგომში განცხადებების განხილვისას, შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინება.

კომისიის თავმჯდომარე	თამილა ბარკალაია
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი კაკაურიძე
კომისიის წევრი	დავით მეტრეველი

კომისიის წევრი	თენგიზ კალანდაძე
კომისიის წევრი	ეკატერინე მიქაბაძე
კომისიის წევრი	ზურაბ სანიკიძე
კომისიის წევრი	ლევან დგებუაძე
კომისიის წევრი	ნიკოლოზ ჩანადირი
კომისიის წევრი	გიორგი ჭავჭავაძე
კომისიის წევრი	გელა ჩიღოშვილი
სამუშაო ჯგუფის სამდივნო	ნ. ველთაური
კომისიის მდივანი	ლიკა კლიმიაშვილი
კომისიის მდივანი	თეა გვარამაძე